საქართველოს მთავრობის

დადგენილება №188

2024 წლის 10 ივნისი

ქ. თბილისი

„შპს „ქართული ნატურალური პროდუქტების“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 ივლისის №257 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „შპს „ქართული ნატურალური პროდუქტების“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 ივლისის №257 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/07/2023, 300160070.10.003.024090) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 ივლისიდან და ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**